დანართი 1

ონის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის, ქალაქ ონისა და სოფელ ღების განაშენიანების გეგმების კონცეფციების საჯარო განხილვა

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო (შემდგომში, სააგენტო), საქართველოს მთავრობის 2024 წლის 20 დეკემბრის N 1845 განკარგულების საფუძველზე, აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით, ახორციელებს ონის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის, ქალაქ ონისა და სოფელ ღების განაშენიანების გეგმების შემუშავებას. პროექტზე მუშაობს მომსახურების შემსრულებელი კომპანია ერთობლივ საწარმოს სახით Keios Srl (კონსორციუმის ლიდერი კომპანია, იტალია) პარტნიორ ორგანიზაციებთან CMC LLC (თანაპარტნიორი - საქართველო); Adapt40 (ქვეკონტრაქტორი - დიდი ბრიტანეთი); Urbanica LLC (ქვეკონტრაქტორი - საქართველო) ერთად (2025 წ. 26 აგვისტოს ხელშეკრულების N: SUDA/LCIP/QCBS-04-1 ფარგლებში).

დაგეგმვის მიზანია დასახლებების მდგრადი განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობის ხელშეწყობა, ღირსეული, უსაფრთხო გარემოს შექმნა და განვითარება. „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, აღნიშნული კონცეფციები ექვემდებარება საჯარო განხილვის პროცედურებს.

ონის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის, ქალაქ ონისა და სოფელ ღების განაშენიანების გეგმების კონცეფციების **საჯარო განხილვა ჩატარდება 2026 წლის 14 დეკემბერს, 12:00 საათზე**, შემდეგ მისამართზე: ქ. ონი, დავით აღმაშენებლის ქ. N40, მერიის შენობა.

საჯარო განხილვის დროს ხელმისაწვდომი იქნება გეგმების კონცეფციები ელექტრონული და მატერიალური სახით.

განხილვაზე დასწრება, მასში მონაწილეობის, ასევე, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელი იქნება საჯარო განხილვის ჩატარებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში, სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში, შემდეგ მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №154 ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: sajaro.gankhilvebi@suda.gov.ge; ასევე, ონის მუნიციპალიტეტის მერიაში.

დოკუმენტაცია ატვირთულია შემდეგ ბმულზე: ონი - სივრცის დაგეგმარებისა და განაშენიანების გეგმების კონცეფციები